

სამეფო ნადირობის დროს ეწყობოდა „ლამპრობა“ — მთვარის ღვთაების ძველთაგან მომდინარე ღვთაებად: ღმერთ მონადირეთა პროცესია ცეცხლმოდებული სის ტოტებით მიემართებოდა სასახლისაკენ და მეფეს, დედოფალსა და დიდებულებს ღმერთს მიართმევდა. პროცესიის მონაწილენი უნდა დაესაჩუქრებინათ. ხელმოჭერილთა და პურძვირთა არ ინდობდნენ და ამხელდნენ. „ხელმოჭერის კარის ვარიგება“ ღმერთის დროს ხალხს თვით მეფისა და დიდებულების მხილება-გაკიცხვის ნებას რთავდა. შემდეგ იმართებოდა სანახაობანი — „რგვალი“ (ფერხული), სიმღერა-შაირებითურთ.

გარკვეულ მასალას სახიობის შესწავლისათვის იკონოგრაფიაც იძლევა. წაღწევის ტაძრის ფრესკათა შორის გამოხატული მოცეკვავე ქალი ცეკვა „ქართლის“ შემსრულებელს უნდა ასახავდეს. სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოხატულია მოცეკვავე ქალთა ფერხული, შუაში — მოცეკვავე სოლისტი და მუსიკოს-დამკვირვებელი ორი დასტა.

1649 წელს თეიმურაზ I რუსეთის ელჩების პატივსაცემად ნადიმი გამართა და თან სტუმრებს უჩვენა წარმოდგენა მგოსნების, მუსიკოსებისა და მუშაობის მონაწილეობით.

შემონახულია ცნობები XVII ს. საქართველოში ინდოელი მუშაობის წარმოდგენების შესახებ. ვახტანგ V სასახლის კარის სახიობაში მონაწილეობდნენ უცხოელი მომღერლებიც, რომლებიც იტალიურ და ესპანურ სიმღერებს ასრულებდნენ.

არჩილმა შემოგვინახა ცნობა თბილისში თეატრონის არსებობის შესახებ, სადაც „რუსთაველისა და თეიმურაზის გაბასებას“ ასრულებდნენ.

სულხან-საბაძე დავითი თეატრონის სალაშქრო შინაარსის წარმოდგენის აღწერილობა. მთავარი მოქმედი პირი ომში გმირულად იღუპება ამას მოსდევს გმირის დატირების მასობრივი სცენა, შემდეგ კი გმირის დაბრუნება და დაჯილდოება. ესაა მაგალითი ბერძენების ტრადიციული სიუჟეტის გამოყენებისა თეატრონის რეპერტუარისათვის. ამ დროს მკვიდრდება საგმირო-სალაშქრო ხასიათის სიუჟეტები, რომელთა მთავარი თემაა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა.

## ქართული კულტურა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო ირანის, დასავლეთ საქართველო კი თურქეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ზრუნვას ქართველთა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის, რაც, პირველ რიგში, ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობით გამოიხატებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ მუშაობას სათავეში ედგა ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომლის ირგვლივ შემოიკრიბა მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა დასი. „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! — წერდა ივ. ჯავახიშვილი. — ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო“.

ვახტანგის ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში მართლაც განუზომელია. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „ქვერივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალები, ეკლესიათა მამუნებელი, სატთა და ჯუართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყვარე, ბრძენი, მხნე და აზოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი მუშაკი, უხვი და მშვიდი. მან მოიწყო ყოველითა ქართველნი... აღაშენა და განავრცო ქართლი... ამას მორჩილებდენ იმერნი, უსმენდენ კახნი. მოილო მბეჭდველობა ვლახეთიდან და განამრავლნა წიგნი საღმრთონი, რამეთუ



უმეცარნიცა სამღუდლოთა წერილთა იკითხვიდიან... დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვის სყიდვა... დაამდაბლა თათარნი და უმეტეს ტფილისს ციხისმცველნი, ადამადლ-ნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენა მრავალნი დაბნები“.

ვახტანგ VI თანამოაზრეთა და თანამოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სულხან-საბა ორბელიანს — მეცნიერ-ენციკლოპედისტს, მწერალს, ლექსიკოგრაფს, დიპლომატს, სასულიერო მოღვაწეს.

დასავლეთ საქართველოში არსებული უმძიმესი პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა არც იქ შეწყვეტილა. ქუთაისში, გელათში, ზუგდიდში, ოზურგეთში, მარტვილში, შემოქმედში და სხვა პოლიტიკურ თუ სასულიერო ცენტრებში მოღვაწე ქართველი მოაზროვნენი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ქართული კულტურის გადარჩენა-განვითარებისათვის. ბევრ მათგანს მუშაობის გასაგრძელებლად ქართლ-კახეთსა და რუსეთში წასვლაც კი მოუხდა.

## II 1. განათლება. კულტურის კარგობა

XVIII ს. დამდეგისათვის საქართველოში სწავლა-განათლების კერათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, განათლების მიღების შესაძლებლობა შეიზღუდა. ვახტანგ VI სიტყვით, „მრავალგზის მტერთაგან მოოხრებულ“ საქართველოში „არღა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა“.

თავად ვახტანგმა, რომელიც, თანამედროვეთა დახასიათებით, „ყრმათათვის დიდად მოღვაწე და სწავლა-შემატების გულს-მოღვიწე“ იყო, ბევრი რამ იღონა ცოდნისა და განათლების გასაგრძელებლად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ დაარსებულ სტამბაში სახელმძღვანელოების გამოცემას. 1711 წ. აქ დაიბეჭდა პირველი ქართული მეთოდური სახელმძღვანელო — „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, რომელიც ქართველი მოღვაწის — გერმანე სიონის ხუცესმონაზონის მიერ იყო შედგენილი. 1721 წელს აქვე დაისტამბა ვახტანგ VI მიერ სპარსულიდან თარგმნილი კოსმოგრაფია-გეოგრაფიის სახელმძღვანელო — „აიათი, ანუ ქმნულეების ცოდნა“. 1732—1737 წლებში მოსკოვის სტამბის ქართულ გან-

ყოფილებაში დაიბეჭდა თეოფანე პროკოპოვიჩის სახელმძღვანელოს — „პირველი სასწავლო ყრმათათვის“ — ქართული თარგმანი.

სასწავლო წიგნად იყო გათვალისწინებული სულხან-საბას ლექსიკონი. მისივე „სიბრძნე სიცრუისა“ დიდაქტიკური ნაწარმოების ბრწყინვალე ნიმუშია. სულხან-საბას ორიგინალურმა აღმზრდელობითმა იდეებმა პედაგოგიკური აზროვნება მეცნიერულ საფუძველზე დაამკვიდრა.

დასავლეთ საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცოცხლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვიორგი IV გურიელმა და სინოწმინდელმა ეპისკოპოსმა, რომელთაც სინოპიდან გურიაში მიიწვიეს ქართველი სასულიერო პირი პიმენი. იგი ბავშვობაში თუშეთიდან ტყვედ გაუტაციათ და სინოპში გაუყიდათ, სადაც ბერძენმა არქიეპისკოპოსმა დაიხსნა და აღზარდა. პიმენმა გურიაში სკოლა გახსნა და საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა ქართლში, ვახტანგ VI-თან გადასულიყო.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო პირველი ქართული სტამბის დაარსება საქართველოში, თბილისში, 1709 წელს. უფრო ადრე, 1705 წელს მოსკოვში მყოფმა არჩილმა, ევროპაში დამზადებული ქართული შრიფტის გამოყენებით, „დავითნი“ დაბეჭდა. თბილისში სტამბის შექმნის ინიციატორი ვახტანგ VI იყო. დახმარებისათვის მან ანთიმოზ ივერიელს მიმართა.

ანთიმოზ (ანთიმ) ივერიელი — მწიგნობარი, მესტამბე, განმანათლებელი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე წარმოშობით ქართველი იყო. ახალგაზრდობაში იგი თურქებმა სამშობლოდან გაიტაცეს და სტამბოლის ბაზარზე გაყიდეს, სადაც იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა შეისყიდა. ანთიმოზმა შეისწავლა აღმოსავლური, კლასიკური და სლავური ენები, იყო ჩინებული პოეტი, მხატვარი, გრაფიკოსი, ხუროთმოძღვარი, სასტამბო საქმის მცოდნე. 1698 წელს უნგრეთის მთავარმა იერუსალიმის პატრიარქს სთხოვა, მისთვის გაეზავნა სტამბის ხელობის მცოდნე პირი. ასე მოხდა ანთიმოზი რუმინეთში. 1691 წ. მან ბუქარესტში პირველი წიგნი დაბეჭდა. სასტამბო საქმიანობასთან ერთად, ანთიმოზმა დიდი ღვაწლი დასდო რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებას. იგი მოითხოვდა ღვთისმსახურების რუმინულ ენაზე აღსრულებას. 1705 წელს იგი რიმიკის ეპისკოპოსი გახდა.



ვახტანგის თხოვნის პასუხად, ანთიმოზმა თბილისში სტამბის მო-  
საწყობად თავისი მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი გამოგზავნა. 1708—  
1709 წლებში თბილისში, მეფის სასახლესთან, ანჩისხატისა და სიო-  
ნის ტაძრებს შორის, სტამბისათვის სპეციალური „სახლები“ ააგეს და  
სტამბა გაიხსნა. 1709 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა „სახარება“,  
1709—1714 წლებში კი — კიდევ 14 წიგნი, აქედან 11 — სასულიე-  
რო, 2 — სასწავლო სახელმძღვანელო და ერთიც — „ვეფხისტყაოსა-  
ნი“ (1712 წელს). სასულიერო ლიტერატურას დასტამბავამდე უც-  
ხოურ და ქართულ დედნებს აჯერებდნენ. ამ სამუშაოს საგანგებოდ  
შექმნილი ჯგუფი ასრულებდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ გამო-  
ცემას. ეს იყო არა მარტო პირველი ნაბეჭდი, „ვეფხისტყაოსანი“, არა-  
მედ მისი პირველი მეცნიერული გამოცემაც. სარედაქციო სამუშაო  
თავად ვახტანგ VI შეასრულა: შეეცადა ტექსტის გაწმენდას მოგვიან-  
ო ხანის ჩანართ-გაგრძელებებისაგან, გამოცემას დაურთო ბოლო-  
სიტყვაობა, რომელსაც „თარგმანი“ (განმარტება) უწოდა და, სადაც  
დაასაბუთა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის აუცილებლობა, დაურთო  
აგრეთვე ლექსიკონიც. ამით ვახტანგმა სათავე დაუდო „ვეფხისტყაო-  
სნის“ ლიტერატურულ-კრიტიკულ შესწავლასა და მეცნიერულ რუს-  
თველოლოგიას.

XVIII ს. პირველ მეოთხედში სტამბაში, ხუცური შრიფტის პარა-  
ლელურად, მხედრულიც შემოიღეს. ვახტანგის დავალებით, შრიფტი  
კათალიკოსის კარის მდივან-მწიგნობარმა სოლომონ მაღალაძემ და-  
ამზადა.

ნაბეჭდი წიგნის გაჩენა, ცხადია, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა  
იყო, მაგრამ თბილისის სტამბის პროდუქცია ჯერ ვერ აკმაყოფილე-  
ბდა წიგნზე არსებულ მოთხოვნილებას. ამიტომ წიგნების გამრავლე-  
ბის მნიშვნელოვან კერებად კვლავ ეკლესია-მონასტრები რჩებოდა,  
იქ მოღვაწეობდნენ გადასწერთა „თაბუნები“ (გაერთიანებანი), რო-  
გორც იყო, მაგალითად, მღვდელ საბას თაბუნი, რომელიც გურიაში  
მოღვაწეობდა. XVIII ს. პირველ ნახევარში მრავალი წიგნი გადაი-  
წერა დომენტი კათალიკოსის, ბუჟან ნაკაშიძის, რაჭის ერისთავ შო-  
მიტას და სხვათა დაკვეთით. გრეკლე I-დამ, კალიგრაფმა და სასული-  
ერო ჰანეთა „დამთხველმა“ (კომპოზიტორმა), მონაზონმა მაკრინემ  
მრავალი წიგნი გადაწერა. რამდენიმე ხელნაწერი შეიქმნა შემოქმედ-  
ში, ზუგდიდში, მარტვილში. 1715 წელს ბესარიონ ორბელიანს გადა-

უწერია რომისა და იტალიის ისტორია. კალიგრაფია და წიგნის მხატ-  
ვრული გაფორმება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. მონასტრებიდან,  
სადაც ინტენსიური საგადამწერლო მუშაობა მიმდინარეობდა, უნდა  
დავასახელოთ ნათლისმცემლის უდაბნოები კახეთში, შიომღვიმე და  
მცხეთა — ქართლში, გელათი — იმერეთში, მარტვილი (ჭყონდიდი)  
— სამეგრელოში, შემოქმედი და ნათლისმცემელი — გურიაში.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა დავითგარეჯის მონასტრები. რო-  
გორც ვთქვით, XVII ს. მიწურულს, 1698 წელს გარეჯში დამკვიდრ-  
და სულხან-საბა ორბელიანი. იგი დღენიდავ ზრუნავდა საეპისკოპოსოს  
ტკიცებასა და გაძლიერებაზე, აგრძელებდა შემოქმედებით მუშაობას.  
აქ დაწერა მან ქადაგებათა კრებული „სწავლანი“, რომელშიც მკაფი-  
ოდ ჩანს ავტორის დიდი პატრიოტიზმი და მამულიშვილობა. „სწავ-  
ლანი“ 46 ჰომილიისაგან, ანუ ქადაგებისაგან შედგება. ყოველი ჰომი-  
ლია რომელიმე საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით წარმოთ-  
ქმული სიტყვაა. მათი საერთო დედაზრი ზნეობრივი დისციპლინისა-  
კენ მოწოდებაა. გარეჯშივე დაწერა სულხან-საბამ „საქრისტიანო  
მომღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ეწოდების  
სამოთხის კარი“. ესა თეოლოგიის თავისებური სახელმძღვანელო,  
დაწერილი კითხვა-პასუხის ფორმით. იგი იძლევა სავალდებულო ინ-  
ფორმაციას ქრისტიანული დოგმებისა და რიტუალის შესახებ. „საქ-  
რისტიანო მომღვრებაში“ აისახა სულხან-საბას სიმამთა კათოლიცი-  
ზმისადმი.

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. პირველ მეოთხედში გარეჯში მო-  
ღვაწეობდა მწერალი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიანი, რომე-  
ლმაც რამდენიმე აგიოგრაფიული თხზულება დაწერა: „შესხმად წმი-  
დათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყებაა წამე-  
ბისა მათისა“, „ღუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და  
მეფისა ლუარსაბისი“, „შესხმად და წამებაა წმიდისა და დიდებულისა  
მოწამისა არჩილისი“ და სხვ. მათში დიდი სითბოთი და სიყვარული-  
თაა აღწერილი სახელოვან მოღვაწეთა თავგადასავალი. ბესარიონს  
ეკუთვნის აგრეთვე რაჟდენ პირველმოწამისადმი, ისე წილკნელისად-  
მი, ჟფლის კვართისადმი მიძღვნილი საგალობლები, კათოლიკეთა წი-  
ნალმღვე მიმართული პოლემიკური თხზულება „გრდემლი“. ბესარიონ  
ბარათაშვილ-ორბელიანის ნაყოფიერი კალიგრაფიც იყო: ნათლის-  
მცემელში თავად დაამზადა და სხვებსაც გადაწერინა რამდენიმე წი-  
გნი.



გარეჯში მრავალი ხელნაწერი დაუმზადებია გაბრიელ საგინაშვილს. მათგან აღსანიშნავია სხვადასხვა მოღვაწის თავადასავალთა შემცველი აგიოგრაფიული კრებული (1713 წ.), რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომში გადაწერილ ნუსხებს. საგინაშვილს რთულ პირობებში უმუშავია — ლეკთა თავდასხმის შიშის ქვეშ. ერთ-ერთ მინაწერში იგი ამბობს: „ავად წერისათვის ნუ დამწყევლით. ვეშურებოდი. ლეკისაგან გვეშინოდა. ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუხდა ლეკის ჯარი დავით გარეჯას“.

ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის მოწაფე და მისი ლიტერატურული წრის წარმომადგენელია იოსებ არაგვის ერისთავის შვილი — კალიგრაფი, რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა ოსმალთობისა და ყიზილბაშობის შესახებ, აგრეთვე ლეკთა თარეშის შედეგად გარეჯელთა საარსებო პირობების გაუარესებისა და მოწესეთა კრებულის დაშლა-დაქსაქსვის თაობაზე.

XVIII ს. დამდეგს გარეჯის დოდორქის მონასტერში მოღვაწეობდა გრიგოლ ვახვანიშვილი — დოდორქელი, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა“.

XVIII ს. შუა ხანებში გარეჯის ნათლისმცემელში მოღვაწეობდნენ მწერლები რომანოზ ერისთავი და ტიმოთე გაბაშვილი, აგრეთვე ანტონ პირველი, რომელმაც ნათლისმცემელში ცხოვრებისას გარეჯელ მოწამეთა სადიდებლად საგალობლები შეთხზა.

საკათედრო ტაძრებსა და მონასტრებში, მეფე-მთავართა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებში არსებობდა ბიბლიოთეკები და დოკუმენტთა საცავები — „საწიგნეები“. მდიდარი წიგნსაცავები ჰქონიათ ალავერდს, შიომღვიმეს, ნათლისმცემლის უდაბნოს (კახეთში), ბოდბეს, სვეტიცხოველს, თბილისის სიონს, გელათს, საირმეს (ლენსუმიში), შემოქმედს და მარტვილს.

## 2. მხსენიარება

**საისტორიო მეცნიერება.** XVIII ს. პირველ მეოთხედში გარდატეხა მოხდა საისტორიო მეცნიერების დარგში. ეს გარდატეხა ვახტანგ VI და მის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობას უკავშირდება.

XVIII ს. დამდეგისათვის „ქართლის ცხოვრება“ „განრყუნოდ იყო, რომელნიმე მწერალთა მიერ და რომელნიმე ჟამთა ვითარებისაგან

არღარა წერებულ იყო“. ვახტანგმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ეროვნული ისტორიის მთავარი წერილობითი წყაროს მდგომარეობას! და მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა. მისი ინიციატივით შეიქმნა საგანგებო კომისია — „სწავლულნი კაცნი“, იგივე „მეცნიერნი კაცნი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ისტორიკოსი ბერი ევანტაშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ყველა არსებული ხელნაწერის, სიგელ-გუჯრებისა და სხვა წყაროთა მონაცემების საფუძველზე, კომისიას უნდა გაემართა გადამწერთაგან შერყვნილი ტექსტი და შეევსო იგი, დაეწერა ახალი ნაწილი — XIV საუკუნიდან.

როგორც ჩანს, ეს დიდი საქმე ვახტანგმა ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროს წამოიწყო, კომისიამ კი თავისი სამუშაო უკვე ვახტანგის რუსეთში წასვლის შემდეგ დაასრულა. „სწავლულმა კაცებმა“ ძალზე დიდი შრომა გასწიეს. როგორც შესავლის ტექსტიდანაც ჩანს, მათ ხელთ ჰქონდათ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოუღწეველი, ამჟამად ცნობილზე უკეთესი ხელნაწერები, აგრეთვე საქართველოს ისტორიის სხვა, დღეისათვის უცნობი წყაროები — როგორც ქართული, ასევე უცხოური. მათზე დაყრდნობით კომისიამ წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს. „ქართლის ცხოვრებას“ წაუშმდვარეს „შესავალი“, სადაც გადმოცემულია ეროვნული ისტორიის ამსახველი წიგნის მდგომარეობა და დასაბუთებულია არსებული ტექსტის გამართვა-გადამუშავებისა და ახალი ნაწილის შეთხზვის აუცილებლობა. ტექსტი დაყვეს და დაასათაურეს მეფეთა ზეობის მიხედვით, რაც დიდად აიოლებდა წიგნით სარგებლობას. მეფეთა ზეობის მიხედვით დაყოფის მცდელობა ადრეც ყოფილა, რისი კვალიც ჩანს ანასეულ და მარიამისეულ ნუსხებში, მაგრამ მაშინ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ.

„სწავლულ კაცთა“ კომისიას ჩაუთვლია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სათანადო სისრულით არ იყო წარმოდგენილი ქართული ეკლესიისა და ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა ისტორია, ამიტომ ტექსტში შეუტანიათ პეტრე იბერის, ასურელი მამების, დავითისა და კონსტანტინეს, გობრონის, ექვთიმე მთაწმინდელის და სხვა მოღვაწეთა ცხოვრების ამსახველი ჩანართები.

ფრიად შრომატევადი სამუშაო ჩაატარა კომისიამ „ქართლის ცხოვრების“ ძველ ხელნაწერებში გადამწერთაგან ნებსით თუ უნებლიედ დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად. ტექსტი სანიმუშოდ გაიმართა.



ემიგრანტული პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია დიმიტრი სააკაძე, რომლის ლექსები აღსავსეა სამშობლოდან გადახვეწილი კაცის მძიმე სვედრით გამოწვეული სევდითა და უსასობით. ავტორი ემიგრაციის მიზეზებისა და შედეგის გააზრებასაც ცდილობს, მისთვის ეს ნაბიჯი გაუმართლებელი ჩანს.

ემიგრანტული პოეზიის მოტივები ძლიერია მამუკა ბარათაშვილის ლირიკაშიც. მასვე ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული პირველი თეორიული-ლიტერატურული ნაშრომი „ჭაშნიკი“, ანუ „ლექსის სწავლის წიგნი“ — პოეტიკის სახელმძღვანელო. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი — ძირითადი—თეორიული კვლევაა, მეორე კი — საილუსტრაციო მასალა ძველი და ახალი მწერლობიდან. ავტორის პათოსი მიმართულია სპარსოფილთა წინააღმდეგ.

მოსკოვის ქართული კოლონიისტები მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდნენ. ვახტანგ VI დაკვეთით ითარგმნა კვინტოს კურციუსის „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება“, ალექსი მისხეილის ძის „ძეგლისდება“ (1649 წ.) — სამართლის წიგნი. ზემოთ დასახელებულმა გაბრიელ გელოვანმა რუსულიდან თარგმნა გეოგრაფიის სახელმძღვანელო — „დეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგვალისათვის“. ესაა მსოფლიო გეოგრაფიის წიგნის პირველი ქართული თარგმანი. დიმიტრი ციციშვილმა გერმანულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო. მანვე გამოსცა გეოდეზიის პირველი სახელმძღვანელო. ვახტანგის თაოსნობით შეადგინეს გეომეტრიის სახელმძღვანელო — „დეომეტრია ანუ მიწის ზომა“. თარგმნიდნენ ქართულიდან რუსულადაც.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის ზრდას ადასტურებს თავად ვახტანგ VI მიერ ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნის დროს, 1712—1719 წლებში XV საუკუნის ცნობილი ასტრონომის ულუღ-ბეგის ნაშრომის — „ვარსკვლავთმრიცხველობის“ თარგმნა. ეს წიგნი ქართლში სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. სპარსეთშივე თარგმნა ვახტანგმა ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის თხზულება — ნასირ თუსელის „სტროლაბის სასწავლო წიგნი“. მასში აღწერილია ასტრონომიულ-გეოდეზიური დაკვირვებების საწარმოებელი ხელსაწყო, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ვახტანგ VI, ნიკოლოზ ორბელიანმა და ვახუშტი ბატონიშვილმა შესწორებები შეიტანეს ტბელ აბუსერიძის მიერ 1233 წელს შედგე-

ნოლ ასტრონომიულ-კალენდარულ ნაშრომში. ვახტანგ VI შეადგინა ასტრონომია-კოსმოგრაფიის მოკლე კურსი, რომელშიც განმარტებულია ასტრონომიული ცნებები და ტერმინები.

ვახტანგისავე შედგენილია „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“. ამავე სახელმძღვანელოზე უმუშავია ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელსაც მისთვის ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოთა ზოგიერთი ნახაზი დაურთავს.

1709 წელს ვახტანგ VI შინაარსობრივად გამართა, შენიშვნები დაურთო და სახმარ წიგნად აქცია ზაზა ფანასკერტელისეული XV საუკუნის სამედიცინო კარაბადინი. ვახტანგმა წიგნი ორ ნაწილად გაყო: პირველში თავი მოუყარა მედიცინის ზოგად თეორიულ საკითხებს, მეორეში კი — პრაქტიკული მკურნალობის საკითხები შეიტანა. ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ფორმებისა და მათი მიღების ტექნოლოგიური პროცესების ასეთი ვრცელი და სისტემური აღწერა მანამდე არ არსებულა.

XVIII ს. პირველ მეოთხედში აღორძინებას იწყებს ფილოსოფიური აზროვნებაც. იზრდება ინტერესი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსების თხზულებებისადმი, მიმდინარეობს მათი გადმოქართულება და გავრცელება. ითარგმნა სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, არისტოფანეს, ეპიკურეს აფორიზმები და სენტენციები. ბაქარ ბატონიშვილმა და ერასტი თუმანიშვილმა შეადგინეს ზემოთ დასახელებულ მოაზროვნეთა შეხედულებების კრებულები. ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობდა ვახუშტი ბატონიშვილიც.

ფილოსოფიის ღრმა ცოდნა აისახა სულხან-საბას „სიტყვის კონაში“, სადაც მოცემულია ბევრი ფილოსოფიური ცნებისა და კატეგორიის მეცნიერული განსაზღვრება. წინასიტყვაობაში დასახელებულია წყაროებიც: „ელინთა, ლათინთა, სომეხთა, რუსთა და არაბთა წიგნები“, პროკლეს, არისტოტელეს, პორფირიუსის, ნემესიოს ემესელის, იოანე დამასკელის თხზულებანი. სულხან-საბას ღრმა ფილოსოფიური განსწავლულობა ჩანს აგრეთვე თხზულებაში „სიბრძნე სიცრუისა“.

### 3. ხელმოწევა

XVIII ს. პირველ მეოთხედში აგებული სამოქალაქო, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობების მხატვრული დონე ჩამორჩება წინა ეპოქების ძეგლებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, აღმშენებლობითი საქმიანობა გრძელდებო-



და. ხუროთმოძღვრები და მშენებლები ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ უცხო ფორმების მოძალებას და დაეცვათ ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციები.

აღმოსავლეთ საქართველოში სამშენებლო მუშაობა ძირითადად ვახტანგ VI სახელს უკავშირდება. თბილისში „მეფემან აღაშენა სახლი შუენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოთა კედლითა“, — გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი. 1710 წელს ვახტანგმა განაახლებინა თბილისის სიონის პერანგი (მოპირკეთება), შეაკეთებინა მცხეთის, ურბნისისა და სადგერის ტაძრები. 1748 წელს კონსტანტინე მუხრანბატონმა განაახლა ქსნის ციხე, 1747 წელს რეკონსტრუირებულ იქნა სამშვილდის ციხე.

სამშენებლო ხელოვნებისა და ტექნიკის დონეს ნათლად წარმოგვიდგენს ვახტანგ აბაშიძის მიერ შესრულებული ხუროთმოძღვრული პროექტები დავითგარეჯის მონასტერში ასაგები თავდაცვითი კოშკებისა. ნახაზებს თან ახლავს სათანადო განმარტებებიც.

დასავლეთ საქართველოში ახალი და მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი XVIII ს. პირველ ნახევარში არ შექმნილა. იმერეთის მეფე გიორგი IV განაანლა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთი ეკვდერი; მეორე ეკვდერი განაახლა და თავის სამკაულედ აქცია ალექსანდრე V, რომელმაც აღადგინა აგრეთვე ვარციხე და ჩხარის წმ. გიორგის ეკლესია. რამდენიმე პატარა ეკლესია ააგეს გურიასა და სამეგრელოში.

შემონახულია იმდროინდელი ეკლესიების მოხატულობანი, რომლებიც ადგილობრივ ოსტატთა შემოქმედების ნაყოფია. დიდი ყურადღება ექცეოდა ხატების დამზადება-შემკობას, რომელთა შესრულების დონე საკმაოდ მაღალია.

სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა ქართული სახიობა და თეატრი. მოსარჩლედ მას ვახტანგ VI და მისი დასი მოეკლინა. სასახლის კარის სახიობას იმ დროს სათავეში ედგა საზანდარბაში გიორგი, რომლის დასში მრავლად იყვნენ მსახიობები და მომღერალ-იმპროვიზატორები. თბილისის საზანდარბები ცალკე ამქარში (თაბუნში) იყვნენ გაერთიანებული. ცალკე არსებობდა სამხედრო ორკესტრი — ნაღარხანა, რომლის შემადგენლობაში ქართველებთან ერთად სომხები და აზერბაიჯანელებიც შედიოდნენ. ნაღარხანაში, როგორც ეს ამქრულ წყობას შეჰფერის, ქარსებობდა შევირდობის ინსტიტუტი.

XVIII ს. 30-იანი წლებიდან ქართული სანახაობრივი კულტურის კერა მოსკოვში, ვახტანგ VI კარზე გაჩაღდა, სადაც სახიობის წარმოდგენები იმართებოდა. იქ შაირობით, ზმობითა და გალობა-სიმღერით სახელი გაითქვა ახალგაზრდა დავით გურამიშვილმა.

ქართული სახიობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბას, ვახუშტის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის მოღვაწეობას. სულხან-საბამ „სიტყვის კონაში“ განმარტა თეატრალური ტერმინები. ვახუშტიმ, პირველმა ქართველ მეცნიერთაგან, გააშუქა ძველი ქართული სახიობის გენეზისი, განმარტა ძველი თეატრალური ტერმინები.

XVIII ს. პირველი ნახევრის სახიობისათვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული პატრიოტული მიმართულება, ხალხური საწყისების გამოცოცხლება, ხალხური მელოდიების, სალხინო სანახაობათა, წეს-ჩვეულებათა ფართო გამოყენება, ირანული მოტივების თანდათანობით შეზღუდვა.